

სავადაზლო დავალება N20
 "09" აგვისტო 2013 წელი

რეფერენსი
 2100379353

გადამხდელის დასახელება: შპს კარაბანი

ანგარიში (დებიტი) GE68BG000000304653500
 (ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
 სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
 BAGAGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპს კარაბანი

საიდენტ. კოდი 404931286

მიმღების დასახელება: სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

ანგარიში/სახაზინო კოდი GE52BR0000010591718543
 (კრედიტი)

მიმღების ბანკი:
 სს "ბანკი რესპუბლიკა"

ბანკის კოდი
 REPLGE22

გადახდის დანიშნულება: კონ.მონ.უნ.877, სსიპ "საქ-ოს კულტ. მემკე. დაცვ.ეროვ.სააგ."-ს მიერ (დიდი ვიზ. სამტ.მუნ.ნ.ნიკოლაძის სახლ-მუზ.კომპ.რება.) საპრ.-სახარ.დოკ. შედგ.მომს.შეს. ს/კ 204562311, (კარაბანი, 404931286)

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი  ბ.ა.

მთ. ბუღალტერი _____

თანხა

50-00


თანხა სიტყვებით

ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი


ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 09.08.13

გატარებულია ბანკის მიერ: 09.08.13

ხელმოწერა 

შტამპის ადგილი





სატენდერო წინადადების საგარანტიო უზრუნველყოფა #T31398-13

თბილისი

12 აგვისტო 2013 წელი

გარანტი: სს „საქართველოს ბანკი“ (შემდგომში „გარანტი“)

გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869

გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო

პრინციპალი: შპს კარაბანი (შემდგომში „პრინციპალი“)

პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 404931286

პრინციპალის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ს.დიდომი

ბენეფიციარი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „ბენეფიციარი“)

ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 204562311

საგარანტიო თანხა: 500 (ხუთასი) ლარი

ვითვალისწინებთ რა, რომ პრინციპალი მზად არის წარმოადგინოს თავისი სატენდერო წინადადება ბენეფიციარის სატენდერო კომისიის მიერ ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის (დიდი ჯიხაიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტი) კომპლექსის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევის მიზნით გამოცხადებულ (#877) ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

სს „საქართველოს ბანკი“ ვიღებთ გამოუთხოვად ვალდებულებას ბენეფიციარის წინაშე, რომლის მიხედვითაც დროულად და სრულად უზრუნველყოფთ ბენეფიციარისათვის ჯამურად 500 (ხუთასი) ლარის გადახდას შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ სატენდერო წინადადების გახსნის შემდეგ პრინციპალმა უარი განაცხადა ტენდერში მონაწილეობაზე, თავისი სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის დასრულებამდე;
2. თუ პრინციპალი გამარჯვების შემთხვევაში უარს განაცხადებს ბენეფიციართან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;
3. თუ პრინციპალი დისკვალიფიცირებულ იქნა შესყიდვის პროცედურების დროს არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

გარანტიის მოქმედების ვადა არის: 11 ოქტომბერი 2013 წელი, შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ბანკი უზრუნველყოფს საგარანტიო თანხის გადახდას ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისთანავე, ბენეფიციარის მხრიდან ყოველგვარი მტკიცებულების წარმოდგენის გარეშე, იმ პირობით, რომ ბენეფიციარის მოთხოვნაში მითითებულ იქნება, რომელი ზემოაღნიშნული შემთხვევ(ებ)ის დადგომის გამო ეკუთვნის მას ეს თანხა და შემსყიდველის მოთხოვნა საგარანტიო თანხის გადახდაზე წარედგინება ბანკს გარანტიის მოქმედების ვადის გასულამდე მისამართზე: სს „საქართველოს ბანკი“ (ს/კ: 204378869), სათაო ოფისი, გაგარინის ქ. #29ა, თბილისი 0160, საქართველო, თბილისის დროით (UTC/GMT +04:00 hours) 17:00 საათამდე, კანცელარიის სამსახურში, ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის საყურადღებოდ.

წერილობითი ფორმით წამოყენებულ ბენეფიციარის მოთხოვნას საბანკო გარანტიაზე თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით თან უნდა ერთვოდეს საბანკო გარანტიის ასლი და მოთხოვნაზე ხელმოწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება ქვემოაღნიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- საბანკო გარანტიის ვადის გასვლით.
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმისა და საბანკო გარანტიის ორიგინალის გარანტისათვის დაბრუნებისას.

წინამდებარე საბანკო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ანა ქავთარაძე
ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტის დირექტორი



აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავითში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავითს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავითის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული საკონკურსო პირობებს;

• შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავცანი ამ აფიდავითის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავითით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

ტექნიკური დავალების დანართი

1. რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და ასახელება: შპს. „კარაბანი“

ხელმძღვანელის სახელი და გვარი: ლევან კეკელიძე

კონკურსანტის იურიდიული მისამართი: თბილისი, სოფ. დიდოში

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი: თბილისი, სოფ. დიდოში

საიდენტიფიკაციო კოდი: 404931286

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: 593 24 09 73

ელექტრონული მისამართი: spskarabani@yahoo.com

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: GE68BG000000304653500

2. საკონკურსო წინადადების ფასი: 49995 (ორმოცდაცხრაათასცხრაასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა: 2013 წლის 11 სექტემბერი ჩათვლით

4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად: 0 %

ხელმძღვანელის ხელმოწერა -



CURRICULUM VITAE

დავით ჩიხლაძე

პერსონალური ინფორმაცია

დაბადების თარიღი	1975 წლის 26 თებერვალი
დაბადების ადგილი	ქ. თბილისი
მისამართი	ქ. თბილისი, გ. გაბაშვილის 4. ბინა 46
ტელეფონი	5 51 270009
ოჯახური მდგომარეობა	დაოჯახებული
E-mail	dchikhladze@hotmail.com

განათლება

1995-2000 წწ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ხელოვნების ისტორიისა და თეორიის
ფაკულტეტი

სამუშაო გამოცდილება

2001-2003 ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი
წწ სტაჟიორი-მკვლევარი

2005-2008 წწ მეცნიერების ფონდი „უდაბნო“-ს პროექტი; დოდორქის მონასტრისა (VI-XVIII სს.) და განსაშორის საეანის (დაახლ. VI-IX სს.) შესწავლა ბიზანტიური და აღმოსავლეთის ქრისტიანობის ტრადიციების ფონზე. პროექტის დონორი ორგანიზაცია: შვეიცარიის მეცნიერების ეროვნული ფონდი. პროექტის თანაშემსრულებელი არქიტექტურის მიმართულებით.

2009-2012 წწ მეცნიერების ფონდი „უდაბნო“-ს პროექტი: დავითგარეჯის საფრთხის ქვეშ მყოფი შუა საუკუნეების ქვაბოვანი მონასტრების ინტერდისციპლინური შესწავლა. პროექტის დონორი ორგანიზაცია: შვეიცარიის მეცნიერების ეროვნული ფონდი. პროექტის შემსრულებელი. არქიტექტურის სპეციალისტი.

2011-
დღემდე გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და
ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი
მეცნიერ თანამშრომელი

კვლევები

- ჩიხორისის ეკლესია
- დოდორქის კლდეში ნაკვეთი მონასტრის არქიტექტურა
- თეთრი უდაბნოს კლდეში ნაკვეთი მონასტრის არქიტექტურა
- მრავალწყაროს კლდეში ნაკვეთი მონასტრის არქიტექტურა
- წამებულის კლდეში ნაკვეთი მონასტრის არქიტექტურა
- შავი სენაკების კომპლექსი
- ქოლაგირის კლდეში ნაკვეთი მონასტრის არქიტექტურა
- ბრეთის ეკლესია
- ოზურგეთის აბანოს კონსერვაცია-გადახურვის არქიტექტურა

ენების ფლობა

ქართული – მშობლიური
რუსული – თავისუფლად
ინგლისური – საშუალოდ

CV

სახელი	ლევან კეკენაძე
მისამართი	თბილისი, სოფ. დიდოძი
ტელეფონი	მობ: 593 24 09 73
ელ. ფოსტა	levankekenadze@yahoo.com
დაბადების თარიღი და ადგილი	01.05.1981წ, ქ. თბილისი
ეროვნება:	ქართველი
განათლება:	1998-2005 – თბილისი სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტურის ფაკულტეტი, რესტავრაციის განყოფილება 1996-1998 – მ. თოიძის სახ. სამხატვრო ლიცეუმი.
სამუშაო გამოცდილება:	<p>2012 - შ.პ.ს „კარაბანი“ ქოზურგეტის ცენტრალურ მოედანზე აგმონილი აბანო. (სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ მიერ გამოცხადებული კონკურსი - აზომეითი სამუშაოები, კამერალური დამუშავება, კონსერვაცია გადახურვის პროექტი.</p> <p>2012 - შ.პ.ს „კარაბანი“ ქარელის მუნიციპალიტეტი ბრეთის წ. გიორგის ეკლესია. (სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ მიერ გამოცხადებული კონკურსი - აზომეითი სამუშაოები, კამერალური დამუშავება, რეკონსტრუქციის პროექტი.</p> <p>2012 - თბილისის ისტორიული ძეგლები, დავით აღმაშენებლის №172 აზომეითი აზომეითი სამუშაოები, რესტავრაციის პროექტები.</p> <p>2010 - თბილისის ისტორიული ძეგლები, დავით აღმაშენებლის №93 აზომეითი სამუშაოები, რესტავრაციის პროექტები.</p> <p>2010 - თბილისის ისტორიული ძეგლები, დავით აღმაშენებლის №108 აზომეითი სამუშაოები, რესტავრაციის პროექტები.</p> <p>2010 - თბილისის ისტორიული ძეგლები, დავით აღმაშენებლის №118 აზომეითი სამუშაოები, რესტავრაციის პროექტები.</p> <p>2010 - თბილისის ისტორიული ძეგლები, დავით აღმაშენებლის №116 აზომეითი სამუშაოები, რესტავრაციის პროექტები.</p>

2009 - მანგლისი, ახალისოფლის ღვთისშობლის ეკლესია, აზომეითი სამუშაოები და რესტავრაციის პროექტი.

2009 - მანგლისი, ახალისოფლის წმინდა გიორგის ეკლესია, აზომეითი სამუშაოები და რესტავრაციის პროექტი.

2008 - გორის რაიონი, სოფ. ატენი, ატენის სიონი, ტაძრის რესტავრაციის და გამაგრების პროექტი.

2008 - მუცო, რესტავრაციის პროექტი (საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერი - კომპანია "არსი", პროექტი "ქართული სახლი").

2008 - აბასთუმანი - ადგილობრივი შენობების აზომეითი სამუშაოები და რესტავრაციურ-რეაბილიტაციის პროექტი.

2008 - ქუთაისის ბაგრატის ტაძარი - აზომეითი სამუშაოები.

2007 - ძველი ქალაქის რეაბილიტაციისა და განვითარების ფონდი.

2007 - თბილისის ისტორიული ძეგლები, აზომეითი სამუშაოები, რესტავრაციის პროექტები.

2007 -2009 - ICOMOS არქიტექტორ-რესტავრატორი.

2007 - მცხეთის ჯვარი - აზომეითი სამუშაოები

2006 - ჭონქაძის №11, ირანის ყოფილი საელჩო, აზომეითი სამუშაოები, კამერალური დამუშავება, რეკონსტრუქციის პროექტი.

2005 - გონის წმ. გიორგი - აზომეითი სამუშაოები, კამერალური დამუშავება და პრევენციული სამუშაოები (ხელმძღვანელი ი. ბანძელაძე)

2004 - ხელთუბნის წმ. პეტრე მოციქულის ეკლესია - აზომეითი სამუშაოები, კამერალური დამუშავება

2003-2004 - არმაზის ღვთისშობლის ტაძარი - აზომეითი სამუშაოები, კამერალური დამუშავება, რეკონსტრუქციის პროექტი (ხელმძღვანელი ი.ბანძელაძე)

2002 - მამა დავითის ეკლესია - აზომეითი სამუშაოები, კამერალური დამუშავება

2001-2002 – აწყურის ღვითსმშობლის ტაძარი,
აზომეითი სამუშაოები, მარკირება (ხელმძღვანელი ი.
ბანძელაძე)

კომპიუტერული პროგრამები:

Adobe Photoshop cs3, AutoCAD 2009, ArchiCAD, 3ds MAX ...

ენები:

ქართული - მშობლიური
რუსული - სრულყოფილად

ასაბაშვილი თორნიკე



დაბადების თარიღი და ადგილი: 10/11/1983, თბილისი
 მისამართი: უხევის ქუჩა №1 0105, თბილისი, საქართველო
 ტელ: [995 32] 986 900
 მობ: [995 95] 895 270 569
 ელ.ფოსტა: Tornikeashvili@gmail.com

ბანათლება

- 1990-2001 III ექსპერიმენტალური სკოლა. თბილისი საქართველო.
- 2001-2006 თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, არქიტექტურის ფაკულტეტი, სამოქალაქო არქიტექტორის სპეციალიზაცია. სადიპლომო ნაშუშეგარი: უსინათლოთა სასწავლო სარეაბილიტაციო ცენტრი. ხელ. პროფ. ნანა ქუთათელაძე
- მაი-ოქტ. 2006 კარგერსლაუტერის ტემნიკური უნივერსიტეტი, გერმანია. სივრცისა და ადგილის დაგეგმარების ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება

- დეკ. 2008-ივნ. 2010 "არსი" არქიტექტურა და სამშენებლო მენეჯმენტი. თ.აბულაძის ქ.21 0162 თბილისი, საქართველო. ტელ: (+995 32) 251 904 ფაქსი: (+995 32) 251 456 ელ.ფოსტა: info@arci.ge ვებ: www.arci.ge
 თანამდებობა: არქიტექტორი. მონაწილეობა არქიტექტურული პროექტების განვითარებაში, ესკიზური დონიდან მუშა დოკუმენტაციამდე, ურთიერთობა კლიენტებთან და კონტრაქტორებთან.
- ოქტ.2006-ნოვ. 2007 არქიტექტურული სტუდია "არქიტექტორები.ჯი" უხევის ქ.18/5 0102 თბილისი, საქართველო. ტელ: (+995 32) 910 703 ფაქსი: (+995 32) 910 704 ელ.ფოსტა: architects@arch.ge Web: www.architects.ge
 თანამდებობა: არქიტექტორი

პრაქტიკა

- ივლ.-დეკ. 2010 "Designed by Erick Van Egeraat" ჰოლანდია. არქიტექტურული კომპანია. 23 Calandstraat str. 3016 CA Rotterdam, The Netherlads. Tel: +31(0)10 436 9685 Fax: +31(0)10 436 9573 Email: info@erickvanegeraat.com Web: www.erickvanegeraat.com
 თანამდებობა: არქიტექტორი
- სექ.-ნოვ. 2009 "Recetas Urbanas" ესპანეთი. არქიტექტურული სტუდია. 7 Joaquín Costa str. 41002 Sevilla, Spain Tel: +34 954.90.45.81 Fax: +34 954.90.45.81 Email: sc@recetasurba.net Web: www.recetasurbanas.net
 თანამდებობა: არქიტექტორი
- აპრ.-ოქტ. 2006 "WSW and Partners" გერმანია. არქიტექტურულ ძალაშეგეგმარების კომპანია. 20 Hertelsbrunnenring st.67657 Kaiserslautern, Germany Tel:(0631) 3423-0 fax:(0631) 3423-200 e-mail: kontakt@wsw-partner.de Web: www.wsw-partner.de
 თანამდებობა: ასისტენტი არქიტექტორი

პროექტები

- 2011 "ინდვიდუალური საცხოვრებელი სოფელ ბალაზანში"
- 2010 საუნივერსიტეტო კამპუსი ძალაქ როტერდამში. www.erickvanegeraat.com

პირადი ინფორმაცია (რეზიუმე)

სახელი, გვარი:

დავით ქვეანიშვილი (რევაზის-ძე)

დაბადების თარიღი და ადგილი:

1982 წლის 28 მაისი, ქ. ქუთაისი

უნივერსიტეტის დასახელება, დამთავრების თარიღი:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი. სპეციალობა: სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. 2006 წ.

ენები:

ქართული, ინგლისური, რუსული

სამუშაო გამოცდილება:

2004 წლიდან დღემდე.

ინჟინერ-კონსტრუქტორი შპს „კონექსში“

2005 წლიდან დღემდე

მთ. ინჟინერი შპს „არგ-სფეისში“

აკადემიური ხარისხი და სტატუსი:

მაგისტრის ხარისხი (დაცულია 24.02.2006)

უკანასკნელი 6 წლის მანძილზე შესრულებული ძირითადი სამუშაოები:

მიღებული მაქვს მონაწილეობა სხვადასხვა ფუნქციონალური შენობების გაანგარიშებასა და პროექტირებაში, რომელთა მოკლე ჩამონათვალია:

- პილროტექნიკური ნაგებობების კონსტრუქციული პროექტირება მდ. ნაგანების გამოსასვლელთან;
- ლაჯანურის გვირაბ რეკონსტრუქცია;
- ქ. თბილისში სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერია“-ს რეკონსტრუქციის პროექტი;
- ქ. თბილისში (8-16 სართულიანი) შენობების პროექტირება და გაანგარიშება;
- საყრდენი კედლების პროექტირება და გაანგარიშება;
- ქ. გუგდიდში საქართველოს სახალხო ბანკის შენობის პროექტირება და გაანგარიშება;
- ქ. თბილისში და მის მიმდებარედ საკუთარი სახლების პროექტირება და გაანგარიშება;
- სუფსაში შავი ზღვის სანაპიროზე პირსის პროექტირება და გაანგარიშება;
- ბორჯომში წყალმომარაგების რეზერვუარის პროექტირება და გაანგარიშება;
- ბოლნისში საცურაო აუზის პროექტირება და გაანგარიშება;
- გრიგოლეთში შავი ზღვის სანაპიროზე პირსის პროექტირება და გაანგარიშება;
- გონიოში შავი ზღვის სანაპიროზე მრავალსართულიანი შენობის პროექტირება და გაანგარიშება;
- ქ. თბილისში, ფარაჯანოვის მოედანზე მრავალფუნქციური შენობის პროექტირება და გაანგარიშება;
- ქ. ქუთაისში გასართობი ცენტრის პროექტირება და გაანგარიშება;

- ყაზახეთში, ქ. ასტანაში რესტორნის შენობის პროექტირება და გაანგარიშება;
- ქ. თბილისში მრავალფუნქციური ცენტრის „Uptown Tbilisi“-ს პროექტირება და გაანგარიშება.
- ქ. თბილისში რუსთაველის გამზირზე მდებარე ფოსტის შენობის აგრიუმის გადახურვების რეკონსტრუქცია.
- ქ. თბილისში მრავალფუნქციური კომპლექსი „მერანი“-ს პროექტირება და გაანგარიშება.
- ქ. ქუთაისში TBC ბანკის შენობის პროექტირება და გაანგარიშება.
- ქ. თბილისში საქართველოს ბანკის სათაო ოფისის რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება და ანგარიშების მომზადება.
- ყაზბეგის რაიონში მდინარე თერგზე ლარსი ჰესის სათავე ნაგებობის გაანგარიშება და პროექტირება.
- ყაზბეგის რაიონში მდინარე თერგზე ლარსი ჰესის საგენერატორო ნაგებობის გაანგარიშება და პროექტირება.
- ყაზბეგის რაიონში მდინარე თერგზე დარიალი ჰესის საგენერატორო ნაგებობის გაანგარიშება და პროექტირება.
- ყაზბეგის რაიონში მდინარე ბროლისწყალზე ბროლისწყალი ჰესის საგენერატორო ნაგებობის გაანგარიშება და პროექტირება.
- კახეთის რაიონში შილდა ჰესის საგენერატორო ნაგებობის პროექტირება და გაანგარიშება.
- ქ. გორში იუსტიციის სახლის პროექტის გაანგარიშება-პროექტირება.
- ქ. მარნეულში იუსტიციის სახლის გაანგარიშება პროექტირება.
- ქ. ზუგდიდში იუსტიციის სახლის გაანგარიშება პროექტირება.
- ქ. ბორჯომში ფერდის ქვათაცევისაგან დამცავი ღონისძიების პროექტის მომზადება.
- დაბა ჩაქვში სასტუმროს კომპლექსის პროექტირება-გაანგარიშება.
- ქ. თბილისში ვარკეთილისა და გლდანის რაიონში მრავალფუნქციური კომპლექსების პროექტირება-გაანგარიშება.
- ქ. ფოთში ცემენტის კლინკერის გადამამუშავებელი ქარხნის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის დაპროექტება გაანგარიშება.

გაწეული მუშა საავტორო და გეგმიური ზედამხედველობა შემდეგ ობიექტებზე:

- ქ. თბილისში ვარდების რევოლუციის მოედანზე სასტუმრო „ რედისონ ბლუ ივერია “ რეკონსტრუქცია.
- ფარაჯანოვის მოედანზე მრავალფუნქციური შენობა;
- ქ. ქუთაისში კინოთეატრ „საქართველო“-ს რეკონსტრუქცია;
- ქ. თბილისში „მეიდან ჯგუფის“-ის ობიექტები;
- ქ. ზუგდიდში სახალხო ბანკის შენობა;
- ქ. თბილისში „ Uptown Tbilisi “-ს პროექტზე.

მისამართი:

ქ. თბილისში, წყალტუბოს 1 კორპ. ბინა 34

ტელ.: 234 18 14; მობ.: 5 99 34 18 14

პირადი მონაცემები

სახელი*	გვარი*	ასაკი*
ზურაბ	ბაღიაური	50
დაბადების თარიღი*	დაბადების ადგილი*	ამჟამინდელი მისამართი*
28.10.1960	ულან-უდე (რუსეთი)	ვარკეთილის ზემო პლატო, II მიკ /22 კორპ. ბ.72
პირადობის მოწ. №*	პირადი №*	გამცემი ორგანო*
01027045360	№ ა 1215074	სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამგორის სამსახური
ელ-ფოსტის მისამართი*		საკონტაქტო ტელეფონები*
bagauri@rambler.ru		899 78 67 22 832 76 12 03

ოჯახური მდგომარეობა - დაოჯახებული

მეუღლე – ე. კუკატაძე
შვილები- თემური ბაღიაური, ნატო ბაღიაური, თამარი ბაღიაური

ბანათლება* საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები.

№	სასწავლებლის დასახელება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	მინიჭებული ხარისხი	სპეციალობა	ქვეყანა
1	ქ. რუსთავი 1 – ლი საშ. სკოლა	1966	1977			საქართველო
2	თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი	1981	1984		საინჟინრო გეოდეზია	საქართველო
3						

უცხო ენები* აღნიშნეთ რომელი დონე შეესაბამება თქვენს ცოდნას.

№	უცხო ენა	თავისუფლად	კარგად	საშუალოდ	ცუდად
1	რუსული	კი			
2	ინგლისური			კი	

კომპიუტერთან მუშაობის უნარი* რა პროგრამები იცით.

№	დასახელება
1	Microsoft Windows და Microsoft Office
2	AutoCAD , LANDdesktop, TGO, Geonics
3	ArcGIS

სამუშაო გამოცდილება*

№	ორგანიზაციის დასახელება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	თანამდებობა	მოვალეობის მოკლე აღწერა
1.	შპს. “ რუკა მაპკინგ ”	1/05/2009	ღებულა	ტექ. გეოდეზისტი	კამერალური და საველე სამუშაოების შესრულება
2	შპს. “ LKN ”	11/05/2004	2009	ტექ. გეოდეზისტი	კამერალური და საველე სამუშაოების შესრულება
3	შპს. ფიორტო”	2001	2004	ტექ. გეოდეზისტი	კამერალური და საველე სამუშაოების შესრულება
4	მე - 4 აეროგეოდეზიური საწარმო, ექსპედიცია 63	1984 - დან	2001 მდე	ტექ. გეოდეზისტი	კამერალური და საველე სამუშაოების შესრულება

სამუშაო გამოცდილება (პროექტები)

№	დასახელება	
1	საგზაო დეპარტამენტის დაკვეთით გარკვეული მონაკვეთების ტოპო - გეოდეზიური სამუშაოები	
2	საქართველო - აზერბაიჯანის სასაზღვრო ზოდის გეოდეზიური სამუშაოები საზღვრის დემარკაციისთვის 2007-08 წ	
3	საქართველო - სასომხეთის სასაზღვრო ზოდის გეოდეზიური სამუშაოები საზღვრის დემარკაციისთვის 2006-07 წ	
3	დაცულ ტერიტორიებზე საზღვრების დადგენის ტოპო - გეოდეზიური სამუშაოების შესრულება (მსოფლიო ბანკი) 2004-2006 წ	
3	გერმანულ-ქართული პროექტი ქვეყნის მასშტაბით კადასტრისა და რეგისტრაციის დანერგვა. KFW ამზომველი - GPS-DPT - 2004 წ	2000
1	ბაქო - ჯეიხანის პროექტისათვის საწყისი ეტაპის ტოპო - გეოდეზიური სამუშაოები	2000- 2001 წ
1	ტარიბანის ტერიტორიაზე გეოსეისმიკის გეოდეზიური სამუშაოები	1999-2000 წ.
1	ფოთის პორტის ნავსადგომების ვერტიკალური მოძრაობის დამზერვა	1998 -99 წ

1	ტოპო-გეოდეზიური სამუშაოები რუსეთი – სასომხეთი – აზერბაიჯანი – საქართველოს ტერიტორიებზე (63 ექსპედიცია)	1984-1998 წ
---	--	-------------

პირადი მონაცემები

სახელი*	გვარი*	ასაკი*
თემო	ბალიაური	28
დაბადების თარიღი*	დაბადების ადგილი*	ამჟამინდელი მისამართი*
16.04.1983	ქ.თბილისი	ვარკეთილის ზემო პლატო, II მიკ /22 კორპ. ბ.72
პირადობის მოწ. №*	პირადი №*	გამცემი ორგანო*
01027027424	№ გ 1215235	სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სამგორის სამსახური
ელ-ფოსტის მისამართი*		საკონტაქტო ტელეფონები*
bagauri@rambler.ru		557 51 65 38 832 76 12 03

ოჯახური მდგომარეობა - დაოჯახებული

მიუღლი - ხ.ბალიაური
შვილები- სოსობალიაური, თეკლაბალიაური

ბანათლება* საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები.

№	სასწავლებლის დასახელება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	მინიჭებული ხარისხი	სპეციალობა	ქვეყანა
1	ქ.რუსთავი - ლისაშ. სკოლა	1966	1977			საქართველო
2	თბილისის სტოპო გრაფიული ტექნიკუმი	1981	1984		საინჟინრო გეოდეზია	საქართველო
3						

უცხოენები* აღნიშნეთ რომელი დონე შეესაბამებათ ქვენს (კოდნას).

№	უცხო ენა	თავისუფლად	კარგად	საშუალოდ	ცუდად
1	რუსული	კი			
2	ინგლისური			კი	

კომპიუტერთან მუშაობის უნარი* რა პროგრამები იცით.

№	დასახელება
1	Microsoft Windows და Microsoft Office
2	AutoCAD , LANDdesktop, TGO, Geonics
3	ArcGIS

სამუშაო გამოცდილება*

№	ორგანიზაციის დასახელება	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	თანამდებობა	მოვალეობის მოკლე აღწერა
1.	შპს.საქ-ნავთობი	1/09/2010	დღემდე	ტექ. გეოდეზისტი	კამერალური და საველე სამუშაოების შესრულება
2	შპს. " LKN "	11/05/2004	2006	ტექ. გეოდეზისტი	კამერალური და საველე სამუშაოების შესრულება
3	შპს.გზამშენი 4	2009	2010	ტექ. გეოდეზისტი	კამერალური და საველე სამუშაოების შესრულება
4	შპს. კულევის ნავთობ ტერმინალი	2006-დან	2009მდე	ტექ. გეოდეზისტი	კამერალური და საველე სამუშაოების შესრულება

სამუშაო გამოცდილება (პროექტები)

№	დასახელება
1	საგზაო დეპარტამენტის დაკვეთით გარკვეული მონაკვეთების ტოპო - გეოდეზიური სამუშაოები
2	საქართველო - სასომხეთის სასაზღვრო ზოლის გეოდეზიური სამუშაოები საზღვრის დემარკაციისთვის 2006-07 წ
3	დაცულ ტერიტორიებზე საზღვრების დადგენის ტოპო - გეოდეზიური სამუშაოების შესრულება (მსოფლიო ბანკი) 2004-2006 წ
4	საქ ნავთობის გეოსეისმიკური გეოდეზიური სამუშაოები
5	კულევის ნავთობ ტერმინალის ტოპო-გეოდეზიური სამუშაოები
6	შპს.გზამშენი4 პროექტისათვის საწყისი ეტაპის ტოპო - გეოდეზიური სამუშაოები
7	ტარიბანის ტერიტორიაზე გეოსეისმიკის გეოდეზიური სამუშაოები
8	ამჟამად ვასრულებ კარწახი-აზერბაიჯანი რკინიგზის 14კილომეტრიან ტოპო-გეოდეზიურ სამუშაოებს
9	

საკვალეფიკაციო მონაცემი

სახელი, გარი: **აკთანდილ ხოფერია**
დაბადების თარიღი: 13 აპრილი, 1949 წ.
დაბადების ადგილი: საქართველო, თბილისი
მოქალაქეობა: საქართველოს მოქალაქე
ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული
შვილები: ორი ვაჟი
სახლის მისამართი: საქართველო, 0177 თბილისი, ვ. ფშაველას გამზ. 49, III კორპ.
ტელეფონი: (995 32) 39 13 79
სამსახურის მისამართი: საქართველო, თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. №2 ტელეფონი: (995 32) 37 52 28

ბანათლება:

1971-76 წწ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი,
სპეციალობა - წყალმომარაგება-კანალიზაცია

პროფესიული გამოცდილება:

1971-77 წწ. სსი „საქქალაქმშენსახპროექტი“ - ინჟინერ-სანტექნიკოსი,
პროექტის მთავარი ინჟინერი;
1977-88 წწ. საპროექტო ბიურო „საქსპორტპროექტი“ - სპეცსამუშაოთა
განყოფილების უფროსი
1988-2010 წ.წ. ს.ს. „საქქალაქმშენპროექტი“ - მთავარი სპეციალისტი,
სპეცსამუშაოთა განყოფილების უფროსი
2010 წლის იანვრიდან დღემდე - შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“ -
სპეცსამუშაოთა განყოფილების უფროსი

მნიშვნელოვანი საპროექტო სამუშაოები:

- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიისა და მორფოლოგიის ინსტიტუტი თბილისში;
- თსუ-ს ბიბლიოთეკა (სარესტავრაციო და სადუზინფექციო ლაბორატორიებით);
- თსუ ქიმიის, ბიოლოგიისა და ფიზიკის ფაკულტეტების კორპუსები;
- თბილისის „დინამოს“ სტადიონის რეკონსტრუქცია;
- ბიოქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორია თბილისში;
- ბავშვთა მრავალფუნქციური სააუადმყოფო თბილისში;
- თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის აღდგენა-რეკონსტრუქცია;
- ადმინისტრაციული შენობა ზუგდიდში;
- საინფორმაციო გამოთვლითი ცენტრი ბათუმში;
- ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რეკონსტრუქცია-რესტავრაცია;
- საფრანგეთი. პარიზი. ბიოლოგიის ინსტიტუტის ლაბორატორიული კორპუსის რეკონსტრუქცია;
- საქართველოს პარლამენტის შენობა;
- ხელნაწერთა ინსტიტუტი;
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული ტყეპარკის დამხმარე ზონის კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (გერმანულ ფირმა GOPA-სთან ერთად, KfW

- ბანკის დაფინანსებით). პოტენციალების ანალიზი და სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელების გამოკვლევა;
- ფოთის გენგეგმა;
 - ნეუროლოგიისა და ოფთალმოლოგიის ს/კ ინსტიტუტების რეაბილიტაციურ-რესტავრაცია;
 - გორის პერსპექტიული განვითარების გენგეგმა;
 - სიღნაღის გენგეგმა;
 - თბილისის ძველ უბნებში გრუნტის წყლებით გამოწვეული პრობლემების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროექტი;
 - მსოფლიო ბანკის პროექტი - „ქ. თბილისის ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია“- ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრი, ინფექციური საავადმყოფო და მ. იაშვილის სახ. ბავშვთა კლინიკური საავადმყოფო;
 - წმიდა სამების საკათედრო ტაძრის კომპლექსის საინჟინრო კომუნიკაციები;
 - პეჯ დაწესებულებები აჭარისა და იმერეთის რეგიონში;
 - ქ. თბილისში სანიაღვრე ქსელების რეაბილიტაცია;
 - საბაჟო-გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“;
 - საბაჟო-გამშვები პუნქტი „ვალე“;
 - საბაჟო-გამშვები პუნქტი „გუგუთი“;
 - საბაჟო-გამშვები პუნქტი „სარფი“;
 - შაორის წყალსაცავის ირგვლივ ინფრასტრუქტურული ობიექტების პროექტი;
 - თბილისისა და ქობულეთის საგადასახადოს რეკონსტრუქცია;
 - ახალციხის №5 სკოლის დაწყებითი კლასების კორპუსის რეკონსტრუქცია;
 - სს „სახალხო ბანკის“ ფილიალები;
 - დაბა ჯვრის კანალიზაციის სისტემის რეკონსტრუქცია;
 - მესტიის წყალმომარაგების სისტემის რეკონსტრუქცია;
 - ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის და ცეცხლაური-ჯიხანჯურის წყალსადენის რეაბილიტაცია.
 - 15 და 25 საწოლიანი საავადმყოფოების ტიპიური და მიბმის პროექტები ჭიათურაში, ზესტაფონში, გარდაბანში, თეთრიწყაროში, წალკაში, მარნეულში.

ენების ცოდნა: ქართული (მშობლიური), რუსული (კარგად), ფრანგული (საშუალოდ), ინგლისური (საშუალოდ)

კომპიუტერის ცოდნა: AutoCAD, Microsoft Office

საკვალიფიკაციო მონაცემი

სახელი, გვარი:	მარინა ბორბოშიძე
დაბადების თარიღი:	1951 წლის 30 იანვარი
დაბადების ადგილი:	თბილისი
მოქალაქეობა:	საქართველოს მოქალაქე
ოჯახური მდგომარეობა:	დაქორწინებული
შვილები:	ქალ-ვაჟი
სახლის მისამართი:	ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ, I კვ. 14 კ, ბ.27 ტელეფონი: (995 32) 32 15 76
სამსახურის მისამართი:	საქართველო, თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. № 2, ტელეფონი: (995 32) 29 46 37

ბანათლება:

1968-73 წ.წ. - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი,
სპეციალობა – სამრეწველო თბოენერგეტიკა

პროფესიული ბამოცდილება:

1975-2010 წ.წ. – სს „საქქალაქმშენპროექტი“ - ინჟინერი, უფ. ინჟინერი, ინჟინერი
2010 წლის იანვრიდან დღემდე – შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“ - ინჟინერი

მნიშვნელოვანი საპროექტო სამუშაოები:

- მსოფლიო ბანკის პროექტი - „ქ. თბილისის ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია“ - ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრი, ინფექციური საავადმყოფო და მ. იაშვილის სახ. ბავშვთა კლინიკური საავადმყოფო;
- სახელმწიფო რეზიდენცია „ჩაიკა“ მიუსერაში;
- წმიდა სამების საკათედრო ტაძრის საინჟინრო ქსელები და კეთილმოწყობა;
- მწერალთა კავშირის დასასვენებელი სახლი ქვიშხეთში;
- თბური ცენტრებისა და კომუნიკაციების პროექტები გაგრაში, სოხუმში, ხაშურში, რუსთავეში, გუდაუთაში;
- თბომომარაგების სქემების დამუშავება ქ. ფოთისა და ცხინვალისათვის;
- მსოფლიო ბანკის პროექტი „თბილისის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების გზები“ (ბელგიურ ფირმა TRACTEBEL-თან ერთად);
- საქართველოს სხვადასხვა ქალაქში მრავალი საცხოვრებელი სახლის, მედიცინისა და განათლების დაწესებულებებისათვის საქვებების პროექტები, საქართველოს სხვადასხვა რაიონებში;
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „გუგუთი“;
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „ნინოწმინდა“;
- საბაჟო-გამშვები პუნქტი ვალე“;
- საბაჟო-გამშვები პუნქტი „სარფი“ ;
- თბილისისა და ქობულეთის საგადასახადოს რეკონსტრუქცია;
- შაორის წყალსაცავის ირგვლივ ინფრასტრუქტურული ობიექტების პროექტი;
- ახალციხის №5 სკოლის დაწყებითი კლასების კორპუსის რეკონსტრუქცია;
- 15 და 25 საწოლიანი საავადმყოფოების ტიპური და მიბმის პროექტები; ჭიათურაში, ზესტაფონში, გარდაბანში, თეთრიწყაროში, წალკაში, მარნეულში.
- სოციალური მომსახურების ცენტრები საქართველოს მასშტაბით;
- დაბა სტეფანწმინდაში სასტუმრო „ყაზბეგი“-ს რეკონსტრუქცია;
- საქ. იუსტიციის სამინისტროს სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს ადმ. შენობის I სართულის რეკონსტრუქცია;
- საქ. უზენაესი სასამართლოს რეკონსტრუქცია (II და VI სართ.);
- თეთრიწყაროს მუნიცი. კოდის დენილთა დასახლებაში საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია.

ენების ცოდნა: ქართული (მშობლიური), რუსული (კარგად)

კომპიუტერის ცოდნა: AutoCAD, Word, Excel.

CURRICULUM VITAE (CV)

Position Title and No.	Electrical Engineer
Name of Expert:	Tamar Kapanadze
Date of Birth:	July 31, 1944
Country of Citizenship/Residence:	Georgia

Education:

The Georgian State Polytechnic Institute, Energy Department, Power Stations Chair, 1962-1968, Diploma of an Electrical Engineer

Employment record:

Period	Employing organization	Country	Key activities
2010-present	AKHALI SAKKALAKMSHENPROEKTI Ltd.: Electric Engineer 2 A. Kazbegi Ave., 0160, Tbilisi Tel.(995 32) 237 52 28, email:sqmp_project@dsl.ge, B.Mirianashvili Director	Georgia	<ul style="list-style-type: none"> - Refurbishment of Liberty Tower in Tbilisi - Refurbishment of diverse premises to accommodate Liberty Bank affiliations and service centers all over Georgia - Heath Rehabilitation Centre for 120 places for the State Energy Amalgamation, Bakuriani - Rehabilitation of nursery school for IDP Collective Center in Koda, Tetrtskaro Municipality
1968-2010	JSC SAKKALAKMSHENPROEKTI: Chief Electrical Expert, Leader of a design team, senior engineer, engineer Tel: (995 32) 237 52 26, email: sqmp_project@dsl.ge , B. Mirianashvili Director	Georgia	<ul style="list-style-type: none"> - Reconstruction/rehabilitation of the building of Georgian Parliament, Tbilisi - Rehabilitation of Tbilisi Infectious Hospital, Tuberculosis Hospital and M.Iashvili Children's Central Clinic Hospital with the purpose of converting them into medical centers of national importance

Membership in Professional Associations and Publications:

Member of the Builders' Trade Union of Georgia since 1968

Language Skills:

Georgian - mother tongue

Russian – fluent

English – poor

Expert's contact information: mobile phone: 599 91 92 39

ინჟინერ პედროგეოლოგ ვერამ მარგიშვილის მონაცემები

თანამდებობა სპეციალობა	პერიოდი, სახელი	მუშაობის საქრობ გამოცვლილება (წელი)	ანაღვარებულ მომსახურებაზე მუშაობის გამოცვლილება	ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ამ ორგანიზაციაში დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით, ახდლოგიური მომსახურების გაწევის გამოცვლილება კონკრეტული ობიექტების მითითებით, დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია)
ს.ს. "საქსაქსპროექტის" საინჟინრო გეოლოგიის და ჰედროგეოლოგიის განყოფილების უფროსი	მარგიშვილი ვერამი	51 წელი	36 წელი	<p>1959 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სამთო ფაკულტეტის, ჰედრო-საინჟინრო გეოლოგიის სპეციალობა.</p> <p>1959-1960 წლებში ვმუშაობდი საქართველოს გეოლოგიის სამმართველოში, კოლექტორის თანამდებობაზე, კოლხეთის ჰედროგეოლოგიურ პარტიამში (კამერალური სამუშაოები) და სამქვერო სადგურში (საგედე-კამერალური სამუშაოები).</p> <p>1960 წლიდან დღემდე ვმუშაობ საქართველოს წყალთა მეურნეობის საპროექტო ინსტიტუტში "საქსაქსაქსპროექტში" ამჟამად ს.ს. "საქსაქსპროექტში" საინჟინრო გეოლოგიის და ჰედროგეოლოგიის განყოფილებაში.</p> <p>1960-1974 წ. ვმუშაობდი კოლექტორად, ტექნიკოსად, ინჟინრად და უფროს ინჟინრად, მონაწილეობა მივიღე ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტების ჰედროგეოლოგიურ და საინჟინრო-გეოლოგიურ დასახელებებში:</p> <ul style="list-style-type: none"> • ხუანეთში საძოვრების გაწვლად და მცირე სარწყავი არხები. • ქალაქ რუსთავის სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება. • ხილნადის ხარაიონითაშორისი კოორპირებული წყალსადენი. • კოლხეთის დაბლობის დაშრობა. • გურიასა და სემო იმერეთში მეწვერსაწინააღმდეგო დონისძიებები. • ბოლნისის და დმანისის რაიონებში მორწყვა და წყალსაცავები. • გორის, ხაშურის, ქარელის და კახპის რაიონებში მიწების მორწყვა და მედიორაციული გაუმჯობესება. • წყალსაცავი მდინარე ალაგეთზე.

				<ul style="list-style-type: none"> • გარდაბნის ხარვეჯი ხისტემის მედიორაციული გაუმჯობესება. 1974-1976 წლებში ხირიის არაბთა რესპუბლიკა. "დასავლეთ ხირიის წყლის რესურსების კვლევა". 1977-1980 წ. კიდხეთის დაშრობის ობიექტების მთავარი სპეციალისტი. 1980-1982 წ. ხირიის არაბთა რესპუბლიკა. "მიწის და წყლის რესურსების გამოყენების სქემა". 1983-1985 წ. სასიხინრო გეოლოგიისა და პიდროგეოლოგიის განყოფილების მთავარი გეოლოგი. 1985 წლიდან დღემდე სასიხინრო-გეოლოგიის და პიდროგეოლოგიის განყოფილების უფროსი. ამ პერიოდში შესრულდა შემდეგი პროექტების გეოლოგიური დასაბუთება: <ul style="list-style-type: none"> • ციმბირის მდინარეების გადაგდება შუა აზიისაკენ. • უზბეკეთში, არალის ტბის მიმდებარე ტერიტორიების მიწების მედიორაცია. • სომხეთის მიწისქვეშა დასარაღებელი რაიონების აღდგენითი სამუშაოების პროექტები. • წყალსაცავები მდინარეებზე ხრამი, ლაკბე, აღაზანი, იღტო. • კახეთის და ქართლის რეგიონებში მიწების მორწყვა, დაშრობა და მეწვერსაწინააღმდეგო ღონისძიებები. • კახეთის ხარვეჯი არხის გვირაბი. • ზედა აღაზნის I რიგის მაგისტრალურ არხზე სხვადასხვა ზომის შვიდი გვირაბი. • ზედა აღაზნის II რიგის მაგისტრალურ არხზე სხვადასხვა ზომის სამი გვირაბი. • აღგეთის წყალსაცავზე სამშენებლო და საექსპლოატაციო გვირაბები. • საექსპლოატაციო გვირაბი თელათწყალის წყალსაცავზე. • იღტოს წყალსაცავზე სამშენებლო და საექსპლოატაციო გვირაბები. • წყლის გადასაგდები გვირაბი აღაზნის არხიდან ლაკბეს წყალსაცავში. <p>ყველასთვის ცნობილი მიზეზების გამო 1993-1996 წ. კომანიტარული დახმარების ორგანიზაცია "ქეა" (CARE)-მძღოლი, 1996-2000 წ. იმავე</p>
--	--	--	--	--

				<p>ორგანიზაციაში ირიგაციის პროექტის უფროსი ინჟინერი, ამავე დროს აზერბეიჯანის ახალგაიური ორგანიზაციის კონსულტანტი ირიგაციის საკითხებში.</p> <p>2000 წლიდან ვმუშაობ სს "საქწყადპროექტი"-ში. საინჟინრო-გეოლოგიის და ჰიდროგეოლოგიის განყოფილების უფროსად.</p> <ul style="list-style-type: none"> • სამი გვირაბი ქობულეთი-მასხიხაურის საავტომობილო გზაზე. • სხვადასხვა წყადსამყურნეო ობიექტებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების საინჟინრო-გეოლოგიური დასაბუთება. • ხაჯენისის დამუწერილ უბანზე მუწერსაწინააღმდეგო დინისძიებები. • ქადაქ რეზიდავის წყადმომარაგების გაუმჯობესება. • ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენის ტრასის გადასახველები მდინარეებზე მტკვარსა და ფოცხოვზე. • საქართველოს ნავთობსადენის კორპორაციისა და ბრიტიშ პეტროლიუმის დროებითი კონსულტანტი ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ტრასაზე. <p>2003-2004 წლებში, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, კორპორაცია განვითარების აღტერნატივების პროექტების (DIA USAID) "წელის რესურსების მართვა სამხრეთ კავკასიაში", უფროსი ინჟინერი. წყადმომარაგების მდგომარეობის შესწავლა ქადაქებში: დმანისი, გურჯაანი, ბელაქანი, სტეფანავანი, თელავი, აღავერდი და კახი.</p> <p>2004 წლიდან დღემდე "საქწყადპროექტის" საინჟინრო გეოლოგიისა და ჰიდროგეოლოგიის განყოფილების უფროსი</p> <ul style="list-style-type: none"> • ხოთის წყადსაცავის რეაბილიტაცია • ზემო სამჯორის ხარწყავი არხის და მასივის რეაბილიტაცია • რუსეთის 2008 წლის ოკუპაციის შედეგად დტოლვიდთა ახალი დასახლებების და ტრადიციული სოფლების წყადმომარაგება და წყადმომარაგების გაუმჯობესება სხვადასხვა ტიპის წყადამდეგებით.
--	--	--	--	--

ინჟინერ ჰიდროგეოლოგი:

გურამ მარგიშვილი

25.05.2013 წელი

საკონტაქტო ტელეფონები: 593-32-82-70, პისა 2-34-68-57, ს.ს."საქწყადპროექტი" 2-22-61-67

ჩ ა მ ო ნ ა თ ვ ა ლ ი

ფურცლის დასახელება :	ფურცლის ნომერი:	ფურცლის დასახელება :	ფურცლის ნომერი:
საქსახელმწიფო ტერიტორიული რუკა	--- 01	ყოფილი სამეურნეო შენობა სამხ. ფასადი F13	--- 21
აეროფოტო	--- 02	ყოფილი სამეურნეო შენობა ტერასა	--- 22
სიტუაციური გეგმა	--- 03	ყოფილი სამეურნეო შენობა საგამოფენო ოთახი	--- 23
კიშკარი ფოტო F1	--- 04	ყოფილი სამეურნეო შენობა ადმინისტრაცია	--- 24
კიშკარი ფოტო F 2	--- 05	ყოფილი სამეურნეო შენობა ადმინისტრაცია	--- 25
კიშკარი ფოტო დაზიანებები	--- 06	ქარის ძრავი დას. ფასადი F14	--- 26
სახლ-მუზეუმი დას. ფასადი F3	--- 07	თავლა სამხ. ფასადი F15	--- 27
სახლ-მუზეუმი სამხ.-დას. ფასადი F4	---08	თავლა სამხ.-აღმო. ფასადი F16	--- 28
სახლ-მუზეუმი სამხ. ფასადი F5	--- 09	თავლა აღმო. ფასადი F17	--- 29
სახლ-მუზეუმი სამხ.-აღმო. ფასადი F6	--- 10	თავლა ჩრდ. ფასადი F18	--- 30
სახლ-მუზეუმი აღმო. ფასადი F7	--- 11	თავლა ჩრდ.-დას. ფასადი F19	--- 31
სახლ-მუზეუმი ჩდდილ. ფასადი F8	--- 12	თავლა დას. ფასადი F20	--- 32
სახლ-მუზეუმი ჩდდილ.- დას. ფასადი F9	--- 13	თავლა სამხ.-დას. ფასადი F21	--- 33
სახლ-მუზეუმი მარანი	--- 14	თავლა ტერასა P15. P16	--- 34
სახლ-მუზეუმი მარანი	--- 15	თავლა ხედი: P17. P18. P19. P20	--- 35
სახლ-მუზეუმი დაზიანებები	--- 16	თავლა ხედი: P21. P22. P23	--- 36
სახლ-მუზეუმი დაზიანებები	--- 17	თავლა ხედი: P24. P25	--- 37
ოფილი სამეურნეო შენობა დას. ფასადი F10	--- 18	თავლა	--- 38
ყოფილი სამეურნეო შენობა ჩდდილ. ფასადი F11	--- 19	ყოფილი ავტოსადგომი	--- 39
ყოფილი სამეურნეო შენობა აღმო. ფასადი F12	--- 20	საპირფარეშო	--- 40
ეზოში არსებული კა	--- 41	თავლის გეგმა არსებული	--- 46

ეზოში არსებული ნალია	-- 42
სიტუაციური გეგმა საპროექტო წინადადება	--- 43
ყოფილი სამეურნეო შენობა არსებული	--- 44
ყოფილი სამეურნეო შენობა არსებული	--- 45

თავლის გეგმა საპროექტო	--- 47
სახლ-მუზეუმის სამომავლო განვითარების და განვითარების სქემა	--- 48
გარე სანათების მაგალითები	--- 49



ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის (დიდი ჯიხაიში, სამტრედიის მუნიციპალიტეტი) კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტის წინასწარი სახელოვნებათმცოდნეო დასკვნები

ზოგადი მიმოხილვა

გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიში მდებარეობს. სახლ-მუზეუმს ნიკო ნიკოლაძისა და მისი მეუღლის ყოფილი მამულის მცირე ტერიტორია უკავია. ამ მამულში ნიკო ნიკოლაძე 1886 წელს დაფუძნდა და მას 35 წლის განმავლობაში, 1921 წლამდე ფლობდა. 1921 წელს, საქართველოს რესპუბლიკის წითელი ოკუპაციის შემდგომ მოღვაწეს საცხოვრებელი სახლი და კარ-მიდამო ჩამოართვეს. ნიკო ნიკოლაძისა და მისი ოჯახის ძალისხმევით გასაბჭოების შემდგომ კარმიდამო დანაწევრებას გადაურჩა და მისივე თაოსნობით აქ, 1926 წელს, სასაოფლო-სამეურნეო სკოლა გაიხსნა, რომელიც 1930 წელს ტექნიკურად გადაკეთდა (უკანასკნელი ნიკო ნიკოლაძის სახლითა და მამულით სახლ-მუზეუმის გახსნამდე სარგებლობდა). ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი 1947-1951 წელს დაარსდა და მას ნიკო ნიკოლაძის საცხოვრებელი და სამეურნეო შენობება-ნაგებობები და ბაღის მცირე ნაწილი დაეთმო.

სახლ-მუზეუმის კომპლექსი რამდენიმე შენობა-ნაგებობას მოიცავს: 1. ნიკო ნიკოლაძის დროინდელი ჭიშკარი; 2. ნიკო ნიკოლაძის და მისი ოჯახის საცხოვრებელი სახლი; 3. სამეურნეო ნაგებობა; 4. თაულა. გარდა ამისა მასში შედის ვრცელი ბაღი, რომელშიც ნიკო ნიკოლაძის დროინდელი და თანამედროვე ინფრასტრუქტურის ელემენტებია თავმოყრილი.

სახლ-მუზეუმის კომპლექსს შემდეგი ზოგადი მოცემულობები გააჩნია:

- სახლ-მუზეუმზე დამაგრებული ნაკვეთის ფართობი: 3,0415 ჰა.
- მუზეუმის ფართობი: 860 კვ/მ
- მუდმივი ექსპოზიცია: 360 კვ/მ
- პერიოდული გამოფენები: 30 კვ/მ
- საცავები: 60 კვ/მ

კომპლექსში შემავალი ელემენტების ადგილზე ჩატარებული წინასწარი ანალიზი და რეკომენდაციები

1. ჭიშკარი

1.1 შექმნის ისტორია და სტორული და მხატვრულ-დეკორატიული ღირებულება.

ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა ჭიშკრის შექმნის ზუსტი თარიღის დადგენა, თუმცა სავარაუდოდ ის ნიკო ნიკოლაძის ერთსართულიანი ხის საცხოვრებელი

სახლის ქვით ნაგებ ორ სართულიან სახლად გადაკეთების პერიოდს, ანუ 1893-1910 წლებს უნდა მიეკუთვნებოდეს. ამგვარად ნიკო ნიკოლაძის მამულის მთავარ ჭიშკარს ასწლოვანი ისტორიაა აქვს, რაც მას თავრისთავად / უეჭველ ისტორიულ ღირებულებას სძენს. ამ თვალსაზრისით კი დამატებით და მეტად მნიშვნელოვან აქცენტს ჭიშკარს, მის შუა სვეტზე რელიეფურად გამოყვანილი და დეკორატიულად გაფორმებული, ნიკო ნიკოლაძის მეუღლის, ოლღა ნიკოლაძის ინიციალები ანიჭებს. აღნიშნული გარემოებების გარდა ჭიშკრის ისტორიულ მნიშვნელობას ის ფაქტორიც აძლიერებს, რომ ამ ტიპის ჭიშკარი რეგიონში პირველ ნიმუშს წარმოადგენს და ამ პერიოდის საკარმიდამო სამოსხლოების საპარადო შესასვლელების კვლევის საქმეში მნიშვნელოვან წყაროდ გვევლინება.

რაც შეეხება ჭიშკრის მხატვრულ-დეკორატიულ გაფორმებას, ის თავისებურია და, როგორც ჩანს, გარკვეულ კონცეპტუალურ ჩანაფიქრზე უნდა მიგვითითებდეს. ჭიშკრის კომპოზიცია და მისი აქცენტი, ფერადოვანი გადაწყვეტა ოსტატის მიერ ერთგვარ საეიზიტო ბარათადაა წარმოდგენილი, რომელიც ვიზიტორს შემოსასვლელში რეგულალური და ორგანიზებული არქიტექტურისა და კარმიდამოს მოლოდინსა და სახლის ფერადოვანი ტონალობის შეგრძნებას უჩენს, ხოლო შემდგომ ანსამბლის სივრცითი სიღრმისა და მთლიანობის განცდას უყალიბებს.

ამგვარად ნიკო ნიკოლაძის მამულის ძველი ჭიშკარი მისი სახლ-მუზეუმის კომპლექსის მხატვრული გაფორმების განუყოფელ და ორგანულ ნაწილს წარმოადგენს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი როგორც მხატვრულად გააზრებული და ერთიანი ანსამბლის წარმოჩენაში.

12 საფრთხეები და არსებული დაზიანებები

აღვილზე ჩატარებულმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ჭიშკრის შენარჩუნებისთვის ძირითად საფრთხეს გარემო პირობები, კერძოდ კი მაღალი ტენიანობა წარმოადგენს. ამ და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით ჭიშკარზე აღინიშნება შემდეგი დაზიანებები:

- სვეტებზე ნაწილობრივ დაზიანებულია როგორც საღებავის ფენის მთლიანობა, ისე ბათქაშის ფენა
- იდენტური დაზიანება აღინიშნება ტალავერის ვერტიკალური მეტალის ძელების ნაშენ საყრდენ ნაწილებზე
- ტალავერის ვერტიკალურ მეტალის ძელებზე აცვენილია საღებავი და ჟანგია განიხილი
- ჭიშკრის რკინის ნაწილების ცალკეულ მონაკვეთებზე ასევე აცვენილია საღებავის ფენა. გარდა ამისა მასზე ჟანგის არსებობა შეინიშნება
- ჭიშკრის მიმდებარე ნაწილსა და არხს შორის არსებული ბეტონის ფენის ზედაპირი დაზიანებულია.

- დაზიანებულია ნიკო ნიკოლაძის დროინდელი სარწყავი არხის ზედაპირები
- მორყეულია კიდურა სვეტების თავზემთ განლაგებული ფარნები
- გზისპირა ფარნების ქვედა ნაწილზე აცვენილია საღებავი და უანგია გაჩენილი
- გზისპირა ფარნების ზედა ნაწილი დაკარგულია,

1.3 წინასწარი რეკომენდაციები

- სვეტებზე და ტალავერის ვერტიკალური მეტალის ძელების ნაშენ საყრდენ ნაწილებზე მოხდეს ბათქაშის დაზიანებული ფრაგმენტების შევსება და საღებავით დაფარვა
- ტალავერის ვერტიკალურ მეტალის ძელებზე, ჭიშკრის რკინის ნაწილების ცალკეულ მონაკვეთებზე და გზისპირა ფარნების ქვედა ნაწილებზე მოხდეს ჯანგის მოცილება და საღებავის ფენით დაფარვა
- მოხდეს ჭიშკრის მიმდებარე ნაწილსა და არხს შორის არსებული ბეტონის ფენისა და სარწყავი არხის ზედაპირების მოლესვა
- მოხდეს კიდურა სვეტების თავზემთ განლაგებული ფარნების რეაბილიტაცია და დაუბრუნდეს პირვანდელი ფუნქცია
- აღდგეს გზისპირა განათების ზედა ნაწილები და დაუბრუნდეს პირვანდელი ფუნქცია



2. ნიკო ნიკოლაძის საცხოვრებელი სახლი

2.1 შექმნის ისტორია და ისტორიული და მხატვრულ-დეკორატიული ღირებულება.

ნიკო ნიკოლაძემ თავისი სახლის მშენებლობა 1886 წელს დაიწყო. მან ხონში შეიძინა ოდა სახლი, რომელიც დაშლილ მდგომარეობაში დიდ ჯიხაიშში გადმოიტანა და ხელახლა ააწყო. პირველი სახლი ყავარით გადახურული ერთ სართულიანი შენობა ყოფილა. 1898 წელს ნიკო ნიკოლაძის პროექტით სახლი ორსართულიანად გადაკეთდა და მარსელის კრამიტით გადახურა. სახლს ზედა

სართულზე სამი ოთახი, ხოლო ქვედა სართულზე კი ორი აივანი დაემატა. 1908-10 წლებში შვედი არქიტექტორის ფრიკის პროექტით სახლს დასაულებელიდან ენეციურის სტილის ფანჯრიანი და საკუთარ შესასვლელიანი ოთახი დაემატა, ხოლო სამხრეთიდან აგურითა და ცემენტით ნაგები, ვიწრო ზედა და ქვედა აივანი, რომელსაც ბეტონის მოაჯირი და იატაკი ჰქონდა. ამჟამად დროს სახლის ქვეშ ვრცელი, ამობეტონებული დეინის სარდაფი მოეწყო, რითაც სახლმა საბოლოო სახე შეიძინა

ნიკო ნიკოლაძის სახლი 1910 წლის სამშენებლო პერიოდის შემდეგ დღემდე გადაკეთებების გარეშეა შემონახული. კარგადაა შენარჩუნებული ნიკო ნიკოლაძის დროინდელი გეგმარების ინტერიერიც, რომელშიც მხოროდ მცირე ან კოსმეტიკური ხასათის რემონტია ჩატარებული: აივნებზე ნაწილობრივ შეკეთდა და გამოიცვალა სართულშორისი გადახურვა, ოთახების ინტერიერებში კი სამღებრო-განახლებით სამუშაოებია განხორციელებული. უცვლელია შენობის გადახურვა, რომელიც მიუხედავად რამდენიმე განახლებისა, (მათ შორის უკანასკნელად 2003 წელს ჩატარდა) თანადროული მარსელის კრამიტის გამოყენების გამო პირვენდელი სახითაა შენარჩუნებული. აღნიშნული გარემოებები, ნიკო ნიკოლაძის და მისი ოჯახის კუთვნილი ნივთების მდიდარ კოლექციასთან ერთად სახლს ძალზედ დიდ ისტორიულ-მემორიალურ მნიშვნელობას ანიჭებს, რომელიც არა მარტო კონკრეტულად ნიკო ნიკოლაძის და მისი ოჯახის ცხოვრების მატერიალურ ასახვაში, არამედ იმ დროინდელი ქართული განათლებული საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაზე დაკვირვების ძალზედ კარგ შესაძლებლობაში გამოიხატება.

2.2 საფრთხეები და არსებული დაზიანებები

ადგილზე წარმოებული დაკვირვების შედეგად გამოჩნდა, რომ ძირითად საფრთხეს მარანში ძლიერი წვიმის დროს ნადენი წყლის დაგროვება წარმოადგენს. მარანიდან ამ წყლის ამოტუმბვის საშუალება არ არსებობს, ამდენად სათავსის წყლისგან დაცლა მხოლოდ ბუნებრივი გზით, აორთქლებით და ნიადაგში გაწოვით ხორციელდება. ეს ფაქტი მნიშვნელოვან საფრთხე უქმნის როგორც სახლის ფუნდამენტს, ისე შენობის კედლებსა და, შესაბამისად, ექსპოზიციასაც. მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ასევე გადახურვის დაზიანებული, დაზარალებული კრამიტები. ამ მონაკვეთებიდან შემოსული ტენი აზიანებს არა მარტო მეორე სართულის, არამედ პირველი სართული კედლებსაც, რაც ასევე სახლისა და ექსპოზიციის მდგომარეობას საფრთხის ქვეშ აყენებს. მაღალი ტენიანობა და ზოგადი კლიმატური პირობები ასევე საფრთხეს წარმოადგენს სახლის იმ ნაწილებისთვის, რომლებიც გარემოსთან უშუალო შეხებაშია: კრამიტი, ფასადების ზედაპირები, შუშაბანდი, კარ-ფანჯრები, აივნის იატაკი, ხის მოაჯირი და ტიხრები, კედლების მიწისპირა მონაკვეთები.

ჩამოთვლილ გარემოებათა ზემოქმედებით სახლზე შემდეგი დაზიანებები შეინიშნება:

- ნადგომი წყლისგან მარნის ბეტონის იატაკის ზედაპირია დაზიანებული
- ნესტისგან მარნის კედლების ზედაპირი დაზარებულია და აცვენილია
- ნესტისგან მარნის სარკმელებია დაზიანებული
- მარნის ჭერის საყრდენ რკინის ბოძებსა და ჭერის ძელებზე ნესტისგან საღებავია აცვენილი
- ფასადებზე ლოკალურად, რამდენიმე ადგილას საღებავია აცვენილი
- კლიმატური პირობების ზემოქმედებისა და ბუნებრივი დაძველების გამო აივნის ხის მოაჯირი და ფანჯრების ჩარჩოები და ფრთები რამდენიმე ადგილასაა დაზიანებული
- იატაკზე საღებავის ფენა როგორც აივანზე ისე ინტერიერში ლოკალურადაა აცვენილი.
- საღებავის ფენა სამხრეთი აივნისა და ჩრდილოეთი შუშაბანდის ჭერზე ლოკალურადაა დაზიანებული.
- სახლის ინტერიერებში რამდენიმე ადგილას ჩამოსულია წყალი
- დანესტიანებულია გარე კედლების მიწის მიმდებარე ლოკალური მონაკვეთები
- კრამიტი ლოკალურადაა დაზიანებული

2.3 წინასწარი რეკომენდაციები

- მოეწყოს ჯებირი, რომელიც არ დაუშვებს მარანში წვიმის წყლის პირდაპირ შეღწევას
- მარანში ბეტონით მოსწორდეს იატაკის ზედაპირი, ბეტონით და საღებავით განახლდეს კედლები, ჩარჩოები გარემონტდეს ან გამოიცვალოს, შეიღებოს კონსტრუქციული ელემენტები
- ფასადებიდან საღებავის ძველი ფენა მოიხსნას და ხელახლა შეიღებოს
- დაზიანებულ ხის ელემენტებს ჩაუტარდეს რეაბილიტაცია – ხის მოაჯირებს, ტიხრებს, ფანჯრის ჩარჩოებსა და ფრთებს
- მოიხსნას იატაკის საღებავის ფენა, გასუფთავდეს და ხელახლა დაიფაროს ახალი საღებავით
- სამხრეთი აივნისა და ჩრდილოეთი შუშაბანდის ჭერზე დაზიანებული საღებავის ფენა მოიხსნას, გასუფთავდეს და ხელახლა დაიფაროს საღებავით
- ინტერიერში ჭერიდან ჩამოსული წყლის ლაქები გასუფთავდეს და დაიფაროს თეთრი საღებავით
- გარე კედლების დანესტიანებულ მონაკვეთებს ჩაუტარდეს გამოკვლევა, მიზეზი დადგინდეს და გადაწყვეტის გზები დაიგეგმოს

- კრამიტი მოიხსნას, ხაესისგან გასუფთავდეს, დაზიანებულები გამოიცვალოს და ხელახლა დაიგოს
- მოწესრიგდეს წყლისგადამყვანი სისტემა



3. სამეურნეო ნაგებობა

3.1 შექმნის ისტორია და სტორული და მხატვრულ-დეკორატიული ღირებულება.

სამეურნეო შენობის შექმნის ზუსტი თარიღის დადგენა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა, თუმცა საარქივო ფოტოზე ჩანს, რომ 1898 წლის განახლებულ საცხოვრებელ სახლს ჩრდილოეთიდან აკრავს ბაღი, რომელის ნაწილიც, როგორც ჩანს, სამეურნეო შენობის ადგილასაა განთავსებული. შესაბამისად სამეურნეო ნაწილის აშენების თარიღად 1893-1910 წლები შეიძლება ჩაითვალოს.

სამეურნეო შენობა, ინტერიერისა და გადახურვის ჩათვლით, მთლიანობაში თავდაპირველი სახითაა შენარჩუნებული. ოთახების ინტერიერების

